პანიუკოვის სამი ბურთი

1:1 – ასეთი ანგარიშით დამთავრდა აპრილის შუა რიცხვებში თბილისში ჩატარებული ამხანაგური მატჩი მინსკისა და თბილისის "დინამოს" გუნდებს შორის. ეს საბრძოლო ყაიმი წინასწარ ეჭვს ბადებდა თბილისელთა გამარჯვებაზე კალენდარულ შეხვედრაში.

დადგა მომენტი. 3 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **მინსკისა და თბილისის დინამოელები** კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად სტუმართა კარს იცავდა თბილისელთათვის ცნობილი მეკარე დოროხოვი.

იერიშზე არიან თბილისის "დინამოს" თავდამსხმელები – ჯეჯელავა, პანიუკოვი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, ხარბედია. აი ხელსაყრელი მომენტიც – პაიჭაძე ატყუებს ორ ნახევარდამცველს, აწვდის შერჩეულ ადგილზე მდგარ პანიუკოვს. სწრაფი ნახტომი წინ, ყუმბარისებური გარტყმა, ბურთი გაეხვია ბადეში. სტუმრები ენერგიულად იბრძვიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია გარემარბების პონომარევისა და რეისტერის ზუსტი თამაში.

ანგარიში არ იცვლება. პირველი ტაიმი მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ – 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეზეა. თავდამსხმელებს შესანიშნავად ეხმარება ჯორბენაძე და ფროლოვი. 28-ე წუთზე პანიუკოვის შუტის მოსაგერიებლად დოროხოვმა ამაო ნახტომი გააკეთა, ანგარიში დიდდება – 2:0. სტუმრებს დაღლილობა დაეტყოთ, თანაც უხეშობენ, ხშირია საჯარიმო გარტყმა, აუტი, კორნერი.

უკანასკნელ წუთებში კვლავ პანიუკოვმა ისახელა თავი. დაბალი კუთხური ბურთი მოექცა კარის ბადეში. სამი შუტიდან სამი ბურთი. აი რა შესანიშნავ შედეგს მიაღწია 90-წუთიან ბრძოლაში პანიუკოვმა.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა მორიგი გამარჯვებით – 3:0.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 4 მაისი, 1941 წ.